ანგარიში

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

იანვრის თვეში სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა ისრაელის სრულუფლებიან ელჩს - რან გიდორს, მოსწავლეებმა მის საპატივსაცემოდ გამართეს კონცერტი.

მარტის თვეში სამხატვრო სკოლამ მეცხრედ მიიღო მონაწილეობა ბავშვთა 50-ე საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე ჩეხეთში - ,,ლიდიცე-2022“, გაიგზავნა მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების ონლაინ გამოფენა თემაზე - ,,დედა, ქალი და გაზაფხული“, აქტივობებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სხვადასხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად აღნიშნეს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე.

აპრილის თვეში გაიმართა საკლასო კონცერტების კვირეული (ფორტეპიანო, ფლეიტა), მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლების ონლაინ გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დედა ენის დღეს. 17 აპრილს ქ.თბილისში ჩატარდა კომპანია ,,კრიატივ ივენთის“ მიერ ორგანიზებული ბავშვთა და მოზარდთა გამოფენა - ,,მე მინდა საქართველო მიცნობდეს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის 9 მოსწავლემ, დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით და სამკერდე ნიშნებით, მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეების სააღდგომო გამოფენა. (თექა, თიხა, ხეზე კვეთა).

მაისის თვეში ,,სენაკი არტ-ფესტივალი 2022“-ის ფარგლებში, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილის II-ის პატრონაჟით და თბილისის ხელოვნების აკადემიის რექტორის, პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება, სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა, 2 მოსწავლეს დაენიშნა ვალერიან შიუკაშვილის სახელობის სტიპენდია და 17 მოსწავლე გახდა ფესტივალის ლაურიატი. საქართველოს დამოუკედებლობის დღისადმი გაიმართა რიგი ღონისძიებებისა სამუსიკო სკოლაში, სამხატვრო სახლში და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ივნისის თვეში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, ბავშვთა დაცვის, წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების, ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა და გაცილება საზეიმო ვითარებაში, ასევე ხელოვნების სასახლეში გაიმართა სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ივლისის თვეში ოზურგეთის მერიის მხარდაჭერით გიორგი სალუქვაძის მე-12 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი გაიმართა, რომელშიც 5 ქვეყნის ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლი მონაწილეობდა, ფესტივალზე გაიმარჯვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საესტრადო წრის მოსწავლემ-ნიკოლოზ ბაზიარმა, რომელსაც გალა კონცერტზე გადაეცა გრანპრი და სპეციალური დიპლომი.

ოქტომბერში მოეწყო სხვადასხვა აქტივობები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების ჩართულობით, მასწავლებლის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით. ჩოხატაურის ნინო რამიშვილის სახელობის ხელოვნების სასახლეში, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის გურიის რეგიონის შესარჩევი I ტური გაიმართა, კონკურსის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია), აღნიშნულ კონკურსზე II ტურში გასულ სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდმა კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით II ადგილი და საპატიო დიპლომი მოიპოვა. საქართველოს ხელოვანთა კავშირის ,,ხელოვანები მომავლისათვის "ორგანოზებით და საქართველოს საგუნდო მუსიკის შემსრულებელთა ეროვნული კონკურსი „მომავლის ვარსკვლავები" ჩატარდა, სამუსიკოს სკოლის გოგონათა გუნდს (ქორმეისტერი თინათინ გურგენიძე, კონცერტმეისტერი მარინა მამალაძე) გრანპრი, ფულადი ჯილდო 1000 ლარი და სპეციალური დიპლომები გადაეცათ. გოგონათა გუნდმა ასევე მონაწილეობა მიიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის მეორე ტურის A კატეგორიაში.

ნოემბრის თვეში გალაქტიონ ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ლიტერატურული საღამო, ბავშვთა ძალადობის საერთაშორისო დღესათან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების და საჯარო სკოლებების მოსწავლეების ჩართულობით ისაუბრეს სანტერესო თემებზე. სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო. სამხატვრო სახლში მოეწყო გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა.

დეკემბრის თვეში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეწვის წრის და ეკოკლუბის მოსწავლეებმა მოაწყვეს საშემოდგომო გამოფენა ,,ფოთოლცვენა-2022". სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა კონცერტი მიუძღვნეს ბარბარობის დღესასწაულს, ასევე გაიმართა საახალწლო კარნავალი, სამხატვრო სახლში მოეწყო წინასაშობაო გამოფენა. სულ 2022 წელს ღონისძიებებზე გახარჯულია 4145 ლარი.